

ჩენილი სამარხეული თუ სხვა ნივთები, აგრეთვე ბუნების საოცრე-
ბანი. ერეკლე მეორის ღროს ასეთი საცავის არსებობაზე მოგვითხ-
რობს თეიმურაზ ბაგრატიონი: „სხვათა და სხვათა ჟამთა შინა ივე-
რისათა, რომელთაცა ჩვეულებანი ძველთა ქართლისიანთა უწყე-
ბულ არიან და არათუ მხოლოდ ძველთა ჟამთა, ახალთაცა ამათ სა-
უკუნეთა იპოვნენს რაოდენნიმე მეფობასა შინა ირაკლი მეორისასა
კერპ მსახურებისა ჟამსა შინა დაფულუნი მკვდარნი და ფულნი პი-
რთა შინა დებულნი მათნი, და რომელნიმე რკინისა საჭურველთაგან-
ნი დაშთომილნი განუხრწნელად, იცვებოდეს სალაროსა შინა მე-
ფის ირაკლისასა ტფილისს და მოსვლასა შინა ალა მაჰმადხან ყაჯრი-
სასა წარწყმედილ იქმნეს“.

XVIII ს. ბოლოს მომწიფდა აზრი, რომ უნდა შექმნილიყო „წე-
რილების საცავი სახლი“, იგივე „არხივი“, ბიბლიოთეკა და მუზეუმი.
1799 წელს იოანე ბატონიშვილი წერდა გიორგი XII: „ეგრეთვე იყოს
ბიბლიოტიკას სახლი, ყოველი საერო და საეკლესიო წიგნი რაც შე-
იძლებოდეს იქ იცვებოდეს, აგრეთვე სახეები და მაგალითები მხა-
ტვრობებისა და სხუათა ხელოვნებათა, და ვისაც ენებოს მივიდოდის
და თვისით ხარჯით იქ გადაწერდნენ და გარდაიღებდნენ სახეთა, რომ
გარე გატანით წიგნი არ დაიკარგოს“.

2. მესხეთა

ისტორიოგრაფია. XVIII ს. მეორე ნახევარში ორი სა-
ყურადღებო საისტორიო თხზულება შეიქმნა: პაპუნა ორბელიანის
„ამბავნი ქართლისანი“ და ომან მდივანბეგ ხერხეულიძის „მეფობა
ირაკლი მეორისა“.

პაპუნა ორბელიანის თხზულება სეხნია ჩხეიძის 1739 წლით შე-
წყვეტილი ისტორიის გაგრძელებაა. იგი 1739—1759 წლების ამბებს
მოგვითხრობს. „მე პაპუნა ორბელიანმა ხელეპყავ აღწერად, პირვე-
ლად, რათა არა დაეწყებულ იქმნენ ესე ვითარნი ამბავნი და მეო-
რედ, შემდგომნი ჩვენნი მოიხსენიებდენ ესეოდენთა ჟამთა, ვითარე-
ბათა და ქცეულებათა, — გვეუბნება ავტორი, — არაოდეს ყოფილა-
რიან ესე ვითარნი იწროებანი ქართლისანი და მალიადნი ცვალებ-
ბანი დამპყრობელთა და განმგეთა ქვეყანისა ჩვენისანი, მწარენი და
ძნაიადნი მოხარკობანი, რომელი მე ვიხილე თვალითა ჩემითა და
რომელიმე მომეთხრნეს სარწმუნოთა კაცთაგან“.

„ამბავნი ქართლისანი“ უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოს
პოლიტიკურ ისტორიას გადმოგვცემს. მასში მოცემულია მასალა სა-
ხელმწიფო-ადმინისტრაციული და საეკლესიო წესწყობილების, სა-
გადასახადო სისტემის, აღებ-მიცემობის, სავაჭრო გზების შესახებ.
ავტორი მოთხრობილი ამბების თანამედროვეა, ეს კიდევ უფრო ზრდის
თხზულების მნიშვნელობას. ამავე ღროს, იგი ამბის უბრალო მოხრო-
ბელი კი არ არის, არამედ ცდილობს გააანალიზოს ფაქტები და მო-
ვლენები. საყურადღებოა მიზანი, რომელსაც პაპუნა ორბელიანი ისა-
ხავდა: „რათა მოზარდულნი ქართლისანი განეკრძალნენ ქვეყანათა
თვისთა სიმტკიცისათვის, ვინადგან ესე ოდენი ჭირნი და იწროებანი
წარგუხდიან და იუწყებოდენ, თუ ვისგან და ვითა რომლისა მიზე-
ზითა იქმნეს ესე ყოფილი“.

ივ. ჯავახიშვილი მაღალ შეფასებას აძლევდა პაპუნა ორბელიანის
ნაშრომს: „პ. ორბელიანი ცხოვრებაში ჩახედული, ღრმა-მოაზროვნე
და ეროვნულ-საზოგადოებრივი გრძნობებით გამსჭვალული ისტორი-
კოსია... თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღორძინების ხანის ქა-
რთული საისტორიო მწერლობის მშვენიერად ვახუშტის შემდგომ სწო-
რედ პაპუნა ორბელიანი უნდა ჩაითვალოს“, — წერდა იგი.

ომან ხერხეულიძის ნაშრომში „მეფობა ირაკლი მეორისა“ თხრო-
ბა 1722 წლით იწყება და 1787 წლით მთავრდება. ერეკლეს მოღვა-
წეობიდან ავტორისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მხე-
დართმთავრული ნიჭი, ერეკლეს მიერ გადახდილი ომები. ნაშრომი
ქრონიკის ხასიათისაა. ისტორიული ამბების თხრობა ძალზე მოკლეა
და მშრალი. ივ. ჯავახიშვილის აზრით, ამ თხზულებას გარკვეული
მნიშვნელობა აქვს ერეკლეს მოღვაწეობის შესასწავლად, განსაკუთ-
რებით — 1758 წლიდან მოყოლებული, თუმცა „ომან მდივანბეგ ხე-
რხეულიძის მატთანე ვითარცა საისტორიო ნაწარმოები, მიანცდამა-
ინც დიდი არაფერია და პაპუნა ორბელიანისას ხომ ძალიან ჩამოუ-
ვარდება“.

ამავე პერიოდში გადაიწერა „ქართლის ცხოვრების“ რამდენი-
მე ნუსხა — ბარათაშვილისეული, ფალავანდიშვილისეული და ჭალა-
შვილისეული. გადაიწერა ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაც. შე-
დგა ქართულ ორიგინალურ ისტორიულ-გეოგრაფიულ თხზულებათა
ახალი კრებულები, როგორც იყო, მაგალითად, დავით რექტორის
მიერ შედგენილი საქართველოს მეზობელ მხარეთა აღწერილობა.

იგი ფრიად საყურადღებო მასალას იძლევა XVIII ს. მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის.

1795 წელს დავით ბატონიშვილმა დაწერა საქართველოს შემოკლებული ისტორია.

ცალკე უნდა აღინიშნოს ანტონ I მიერ იამბიკოდ დაწერილი საისტორიო თხზულება „წყობილსიტყვაობა“ (7 ნაწილად). მასში ანტონმა მიმოიხილა და ერთგვარად შეაჯამა ქართული კულტურის წარსული (ქართული ქრისტიანული რელიქვიები, წმინდანები, მწერა-ღაღათი და მწიგნობართა მემკვიდრეობა, გამოჩენილ მეფეთა ღვაწლი). ავტორი საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ქართული მწერლობის შესახებ, იძლევა ვერემ მცირისა და იოანე პეტრიწის შეხედულებათა შეფასებას.

დიდი ყურადღება ექცეოდა მსოფლიო ისტორიის შესწავლას. შეადგინეს მსოფლიო ისტორიის კურსის შემცველი კრებულები. 1763 წელს ლევან ბაქარის ძე ბატონიშვილმა შეადგინა კრებული, რომელშიც გადმოცემული იყო მსოფლიოს რიგი ქვეყნების ისტორია. ითარგმნა ისტორიული ნარკვევი საბურძნეთის ისტორიიდან („დარღვევა ქალაქისა ტრაპისა“) და კვინტოს კურციუსის „ალექსანდრე მაკედონელის ცხოვრება“; შარლ როლენის ნაშრომი „ძველი ისტორია“ რუსულიდან თარგმნა გაიოზ რექტორმა; რუდოლფ ოსტრატოს „ევროპის მეგზური“ — დავით ბატონიშვილმა. რუსულიდანვე ითარგმნა აგრეთვე ვილმარ კურასის „საყოველთაო ისტორია“.

საისტორიო ხასიათის ნაწარმოებია ტიმოთე გაბაშვილის სამოგზაურო ჟანრის თხზულება „მიმოსვლა“. ტიმოთე ქართლის მთავარებისკოპოსის, ქუთაისის მიტოროპოლიტი იყო. დასახელებული ნაშრომი 1755—1759 წლებში უცხოეთში მოგზაურობის შედეგად შეიქმნა. მასში საყურადღებო ცნობებია საბურძნეთისა და მახლობელ აღმოსავლეთში არსებული ქართული კულტურის კერების შესახებ. ისტორიულ-პოლემიკურ ჟანრს განეკუთვნება მისი მეორე თხზულება „მარწუხი“, რომელშიც საუბარია შვიდი მსოფლიო საეკლესიო კრების ისტორიისა და მათი დადგენილებების მნიშვნელობაზე ქართული ეკლესიისათვის. დოგმატურ-პოლემიკური ხასიათისაა ენციკლოპედიური ნაშრომი „გარდაამოცემული“.

ფილოლოგიური, ფილოსოფიური და სხვა მეცნიერებანი. ქართული ენათმეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ანტონ I. მან შეადგინა ქართული ენის პირველი სახელმძღვა-

ნელო „ღრამატიკა“, რომელშიც შეტანილია სამი სტილის ცნობილი თეორია. სიტყვიერების თეორიის შესასწავლად ანტონმა გადმოაკეთა მხითარ სევასტიელის „რიტორიკის“ კურსი, რომელიც ქართული სიტყვიერი მასალით გაამდიდრა.

XVIII ს. 90-იანი წლებისათვის შეადგინეს რუსულ-ქართული ლექსიკონი.

სერიოზული ზრუნვის საგანი იყო ფილოსოფიის სწავლება. ამ საქმის მეთაურადაც ანტონ I გვევლინება. ჩვენ უკვე დავასახელებთ მის მიერ თარგმნილი ფილოსოფიური თხზულებანი: არისტოტელეს „კატეგორიები“, ბაუმისტერის „ლოგიკა“, „მეტაფიზიკა“ და „ეთიკა“, ეოლფის „ფიზიკა“. ცნობილია მისი ორიგინალური ფილოსოფიური თხზულება „სპეკალი“, რომელიც სამი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: 1. მოძღვრება კატეგორიებზე, 2. მოძღვრება დიალექტიკაზე, 3. მოძღვრება სულზე. ანტონის ფილოსოფიური შეხედულებანი წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, იგი აღადგენს და აგრძელებს XI—XII სს. ქართულ ფილოსოფიურ ტრადიციებს, პეტრიწი მისთვის უდიდესი ავტორიტეტია; მეორე მხრივ, ასევე უდიდესი ავტორიტეტები და მის ფილოსოფიურ შეხედულებათა ძირითადი წყარო არისტოტელე და პლატონი, რომელთა შეხედულებების მორიგებას იგი ცდილობს.

XVIII ს. რამდენიმე ხელნაწერთაა წარმოდგენილი დიალექტიკის კურსი.

შედგენილ იქნა კრებული, რომელშიც თავმოყრილი და აღწერილია კლასიკურ ფილოსოფოსთა თხზულებანი. 1798 წელს გაიოზ რექტორმა ყიზლარში თარგმნა თაღესის, ბითაგორას, დემოკრიტეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს და სხვათა ბიოგრაფიები.

ერეკლე II ბრძანებით, ფილიპე ყაითმაზაშვილი, დოსითეოს ნეკრესელი და ანტონ ცაგარელ-დადიანი 1754—1776 წლებში მუშაობდნენ ფილოსოფიურ თხზულებათა კრებულზე, რომელიც შეიცავდა დიალექტიკის, ბუნებისმეტყველებისა და სხვა საკითხებს.

თავს უყრიდნენ და კრებულების სახეს აძლევდნენ აგრეთვე ფილოსოფიის კლასიკოსთა აფორიზმებსა და სენტენციებს.

1762 წ. ალექსანდრე ბაქარის ძემ პეტერბურგში თარგმნა ე. წ. აპოთეგმატა, რომელიც აგებულია ძველ ფილოსოფოსთა გამოხატულებების, რიტორიკულ გამოსვლათა და სწავლათა საფუძველზე.

XVIII ს. მეორე ნახევარს განეკუთვნება პირველი ქართული პო-

ლიტიკური ტრაქტატი — ალექსანდრე ამილახვრის (1750—1802 წწ.) „ბრძენი აღმოსავლეთისა“. მისი ავტორი ქართლის დიდი ფეოდალის დიმიტრი ამილახვრის ვაჟი იყო. დიმიტრი ერეკლე II მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნოდა, რისთვისაც ოჯახითურთ დაატუსაღეს. ალექსანდრეს ნაწერებში აშკარად იჩენს თავს მისი მტრული დამოკიდებულება ერეკლესადმი.

1779 წელს ალექსანდრე ამილახვარმა პეტერბურგში რუსულ ენაზე გამოაქვეყნა „გეორგიანული ისტორია ჭაბუკ თავად ამილახვარზე“. მასში გადმოცემულია საქართველოს მოკლე ისტორია უძველესი დროიდან ვახტანგ VI-მდე, ერეკლეს წინააღმდეგ პაატა ბატონიშვილის შეთქმულების ამბავი, ერეკლეს ტყვეობიდან თავად ალექსანდრე ამილახვრის გაპარვა, ჩრდილოეთ კავკასიაში გამგზავრება, ასტრახანში ყოფნა. თხზულება ერეკლეს საწინააღმდეგო პათოსითაა განმსჭვალული.

ტრაქტატი „ბრძენი აღმოსავლეთისა“, რომელიც ავტორმა დაახლოებით 1780 წელს დაამთავრა, იმერეთის მეფე სოლომონ I ეძღვნება. მასში ჩამოყალიბებულია შეხედულება სახელმწიფო წყობილებაზე, რომელიც ალექსანდრე ამილახვარს საუკეთესოდ მიაჩნია და რომლის განხორციელებასაც ურჩევს იგი სოლომონ პირველს. ნაწარმოები, ისევე როგორც, საერთოდ, ალექსანდრე ამილახვრის შეხედულებები, ევროპულ განმანათლებელთა იდეებზეა აღმოცენებული. განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა მონტესკიეს თხზულების „კანონთა სულის შესახებ“ გავლენა.

გაიზარდა ინტერესი ზუსტი მეცნიერებებისადმი. შეადგინეს ან თარგმნეს ფიზიკის, მეტაფიზიკის, არითმეტიკის, გეომეტრიის სახელმძღვანელოები. საინტერესოა 1791 წელს შედგენილი არითმეტიკის წიგნი, რომელშიც განმარტებულია საგნის რაობა, მოცემულია არითმეტიკული წესები და საეარჯიშოები.

ყურადღება ექცეოდა ეკონომიკურ და სოფლის მეურნეობის დარგის გამოკვლევებს. 1772 წელს გადაუწერიათ ბაქარ ბატონიშვილის მიერ ფრანგულიდან თარგმნილი წიგნი „ეკონომია“. გადაწერეს და ვამპრაველს ვახტანგ VI თარგმნილი მეცხენეობის კარაბადინი. შეადგინეს ფრინველთა კარაბადინიც.

ერეკლე II განკარგულებით, გაიოზ რექტორმა რუსულიდან თარგმნა კრებული, რომელშიც განხილულია არტილერიის საკითხები.

რუსულიდან თარგმნეს აგრეთვე სამხედრო წესდებები — „ტიპიკონები“.

მეცნიერული ცოდნის პრაქტიკაში დანერგვის თვალსაზრისით საყურადღებოა უკრაინაში მყოფი დავით გურამიშვილის გამოგონებლური მოღვაწეობა, რომელიც მორწყვისა და წისქვილების ტექნიკური მოწყობის გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. თავისი გამოგონება ნახაზებითურთ მან ერეკლე II გაუგზავნა დასაწერად.

როგორც ვხედავთ, XVIII ს. მეორე ნახევარი საქართველოში მეცნიერების აღმავლობის ხანა იყო.

18. მსახურული ლიტერატურა

XVIII ს. მეორე ნახევრის ქართული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენელია დავით გურამიშვილი (1705—1792 წწ.). მისი ჭაბუკობის წლები საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანას დაემთხვა ირანისა და თურქეთის შემოტევის ემატებოდა ლეკთა თარეში, რომლის გამკლავება დაშლილ-დაქუცმაცებულ ქვეყანას ძლიერ უჭირდა. სრულიად ახალგაზრდა დავითმა მონაწილეობა მიიღო ვახტანგ VI ჯარის ბრძოლაში თურქთა წინააღმდეგ 1723 წელს. განცდილი მარცხის შემდეგ თავი ქსნის ხეობის სოფ. ლამისყანას შეაფარა, სადაც 1728 თუ 1729 წლის ივლისში ლეკებმა დაატყვევეს და დაღესტანში გადაიყვანეს. ლეკთა ტყვეობიდან გაქცევის მეორე მცდელობა იღბლიანი გამოდგა. დავითი მოსკოვში, ვახტანგ VI კარზე ჩავიდა. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ მან რუსეთის ქვეშევრდომობა მიიღო და სამხედრო სამსახურში ჩადგა. მონაწილეობდა რუსეთის ომებში, შემდეგ უკრაინაში ბოძებულ მამულში — მირგოროლში დასახლდა. 1787 წელს მან ერთ წიგნში — „დავითიანი“ — თავი მოუყარა თავის ყველა გადარჩენილ თუ აღდგენილ თხზულებას და მირიან ბატონიშვილის ხელით საქართველოში გამოგზავნა.

„დავითიანის“ პირველი, ძირითადი ნაწილია „ქართლის ჭირი“, რომელიც მსატერული და ისტორიული თხრობის შერწყმის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს. ქვეყნის ბედი აქ პოეტის ბიოგრაფიის მომენტებთანაა გადაჯაჭვული. დავითი უბედურია იმიტომ, რომ ქვეყანაა უბედური. იგი კარგად ხედავს, რომ ქართული სამეფოების ქიშპობა და ურთიერთშუღლი მტერს მიზნის მიღწევას უიოლებს, წუხს იმის გამო, რომ „კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“. ქვეყნის დაცემის ძირითად მიზეზად დავითს ქართველთა მო-

რალური გადაგვარება მიანიხი. ამიტომ ზნეობა, სწავლა-აღზრდა მისთვის საგანგებო მსჯელობის საგანია. ქართლის ჭირის განკურნების საშუალებაა განათლება; პოეტი ახალგაზრდებს ცოდნის მიღების აუცილებლობას უქადაგებს, სიბრძნისა და განსწავლულობის უპირატესობას უსაბუთებს („სწავლა მოსწავლეთა“, „ქართველთა უფალთა მევარტომობის იგავი“).

„დავითიანის“ მეორე წიგნი („წიგნი ბ“) ლირიკულ აღსარებათა ციკლია. პოეტის განსჯის საგანია ქრისტიანული აზროვნებისათვის ოდიოზან საინტერესო საკითხები: შემოქმედისა და შექმნილი სამყაროს მიმართება, სხეული და სული, ადამიანის ზნეობრივი მოვალეობა და სხვ. ამ საკითხთა დასმითა და გააზრებით, პოეტური ლექსიკით დავითის საგალობლები აშკარად უკავშირდება, ერთი მხრივ, ბიბლიურ ტრადიციას, მეორე მხრივ, ეროვნულ ჰიმნოგრაფიას. თვალსაჩინოა კავშირი ხალხურ პოეზიასთანაც.

„დავითიანის“ მესამე წიგნს („წიგნი გ“) ქმნის სიკვილი-სიცოცხლის პრობლემებისადმი მიძღვნილი ლექსები, რომელთა უმეტესობა დავითს ხანგრძლივი სიცოცხლის მიმწუხრის ეამს დაუწერია.

უკანასკნელი, მეოთხე წიგნია პოემა „მხიარული ზაფხული“ ანუ „ქაცვია მწყემსი“ — საყოფაცხოვრებო ხასიათის პირველი თხზულება ქართულ ლიტერატურაში. იგი სიყვარულის თემას ეძღვნება და აიდეალებს მწყემსთა ცხოვრებას.

დავით გურამიშვილმა ქართული პოეზია აღმოსავლური მოტივებისა და სტილის ტყვეობიდან გაათავისუფლა, ეროვნული ნიადაგი განუმტკიცა და ევროპულ კულტურას დაუახლოვა. „დავითიანში“ დაგვირგვინდა აღორძინების ხანაში შედარებით მოკრძალებულად გამოხატულა დაპირისპირება 16-მარცვლოვანი შაირის განუყოფელი ბატონობისადმი. დავითმა საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ რითმას, ახალი ქართული პოეზიის სტროფულ სისტემას და სალექსო რიტმიკას. მისი გავლენითაა აღბეჭდილი მომდევნო ხანის ქართული პოეზია.

XVIII ს. მეორე ნახევრის ქართული პოეზიის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია თეიმურაზ II. იგი მიჩნეულია საერო მხატვრული პოეზიის ტიპურ წარმომადგენლად და არჩილის სკოლის გამგრძელებლად. მისი პოეტური მემკვიდრეობიდან მთავარია „სარკე თქმულთა“ ანუ „დღისა და ღამის გაბაასება“, რომლის თემაა ქართველი ხალხის ყოფა-ცხოვრება და ზნე-ჩვეულებანი. დღისა და ღამის გაბაასების თემა ცნობილი იყო სპარსულ ლიტერატურაში, მაგრამ თეიმურაზს

იგი ქართულ ნიადაგზე გადაუმუშავებია. მანვე სპარსულიდან ქართულად თარგმნა იგავ-არაკთა კრებული „თიმსარიანი“. ესაა ინდოეთიდან მომდინარე „სინდბადის წიგნი“, რომელიც აღმოსავლეთის თითქმის ყველა ხალხის ლიტერატურაში შევიდა. ქართული „თიმსარიანი“ XII საუკუნის სპარსული ვერსიიდან მომდინარეობს. მხატვრული თვალსაზრისით თეიმურაზ II პოეზია საკმაოდ მდარეა.

სახელმძღვანელო პოეტი ბესიკი — ბესარიონ გაბაშვილი (1750—1791 წწ.). იგი თეიმურაზ II კარის მოძღვრის, ზაქარია გაბაშვილის ვაჟი იყო. ერეკლეს საწინააღმდეგო პოლიტიკურ ინტრიგებში მამის მონაწილეობის გამო ბესიკი ქართლიდან გააძევეს. იგი იმერეთის მეფე სოლომონ პირველს ეახლა, რომელმაც მას მამულები და მდივანთუხუცესობა უბოძა, შემდეგ კი თავადობა მიანიჭა. 1778 წელს ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე ჩანს. გარდაიცვალა და დაიკრძალა იასში (რუმინეთი), სადაც დიპლომატიური მისიით იყო წარგზავნილი.

ბესიკის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან უმთავრესია სატრფიალო ლირიკა. ამ ლექსებს აერთიანებენ ციკლში, რომელსაც პირობითად „სევდის ბადი“ ეწოდება. მასვე ეკუთვნის ორი მცირე მოცულობის პოემა — „ასპინძისათვის“ და „რუხის ომი“. პირველი ეხება 1770 წლის ასპინძის ბრძოლას, მასში ხოტბაშესხმულია სარდალი დავით ორბელიანი. „რუხის ომი“ მოგვითხრობს 1780 წლის ამბავს, როცა სამეგრელოს სამთავროს თავს დაესხა აფხაზთა, ჯიქთა და ალანთა ლაშქარი. სამეგრელოს მთავარ კაცია დადიანს მიეშველა სოლომონ I და მტერი სასტიკად დაამარცხეს. ამ ნაწარმოებში ლექსის ფორმას ენაცვლება პროზაული თხრობა.

ბესიკს ეკუთვნის დავით ორბელიანისა და ლევან ბატონიშვილისადმი (ერეკლეს ძე) მიძღვნილი სახოტბო ლექსები, აგრეთვე სამგლოვიარო ოდა „სამძიმარი“, რომელიც უდროოდ გარდაცვლილი ლევან ბატონიშვილის დატირებაა.

ბესიკის ლექსები ფორმის არტისტული დახვეწილობით გამოირჩევა. მან ქართულ ლექსთწყობაში დაამკვიდრა ახალი საზომი („ბესიკური“), აგრეთვე მუსამბაზისა და ბაიათის ფორმა, რომლებიც მან გაქართულა და ამით ეროვნულ პოეზიას ახალი ფორმები შესძინა.

XVIII ს. მეორე ნახევარში მოღვაწეობდა პოეტი საიათონვა (1722—1801 წწ., თუმცა მისი დაბადება-გარდაცვალების წლები ზუსტად არ არის ცნობილი) — თბილისელი სომეხი, რომელიც ქართულად, სომხურად და აზერბაიჯანულად წერდა ლექსებს (ქართული

ასობით), იყო კლასიკური ტიპის აშული — თავად თხზავდა ლექსსა და მელოდიას, თავადვე უკრავდა და ამღერებდა მას. ერთხანს ერეკლეს აშული იყო, შემდეგ რატომღაც სასახლიდან დაითხოვეს. 1765 წელს ბერად აღიკვეცა ახპატის მონასტერში. ბერობაშიც აგრძელებდა აშულობას. საიათნოვას კოეხიაში ძირითადად სატრფიალო მოტივი, თუმცა მისთვის არც მოქალაქეობრივი, რელიგიური და დიდაქტიური მოტივებია უცხო. მისი ლექსები უმთავრესად ავტობიოგრაფიული ხასიათისაა. საიათნოვამ, როგორც ნიჭიერმა ხელოვანმა, დიდი გავლენა იქონია შემდეგდროინდელ აშულურ პოეზიაზე საქართველოში.

ვითარდებოდა აგიოგრაფიული ლიტერატურა. ამ უანრს განეკუთვნება ანტონ I მიერ შედგენილი „მარტირიაკა“ — 29 ქართველი წმინდანის ცხოვრების კრებული, და იამბიკოდ დაწერილი კრებული „პროლოგი“. ქრისტიანულ-მართლმადიდებლური დოგმების დაცვა-განმარტების ბრწყინვალე ნიმუშებია მისი ორი ნაწარმოები: დოგმატიკური ღვთისმეტყველება“ და პოლემიკური „მზა-მეტყველება“.

აქვე ორიოდ სიტყვით მოვიხსენიოთ ქართული ორატორული ხელოვნების უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი სოლომონ ლეონიძე (1754—1811 წწ.) — ერეკლე მეორის უახლოესი მრჩეველი, დიპლომატი, სახელმწიფო მსახური და მდივანი. მჭევრმეტყველების შესანიშნავი ძეგლია სიტყვა, წარმოთქმული მცხეთაში, ერეკლე მეორის დაკრძალვის დღეს — „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღერკულეს ნეტარებისა ღირსისა“ (1798 წ.), რომელიც იშვიათი შთამბეჭდაობით გამოირჩევა.

4. ხელოვნება

XVIII ს. 40—50-იან წლებში ფართო მშენებლობა გაჩაღდა ქართლ-კახეთში. იმ დროის თვალსაჩინო ძეგლებია: ქალაქი სიღნაღი თავისი მონუმენტური გალავნით, თელავის ციხე-გალავანი და სამეფო სასახლე, დარეჯან დედოფლის ციხე-კოშკი „საჩინო“ თბილისში. მის მიერვე აშენებული ქოლავიანის გალავნიანი ციხე (თბილის-ბოლნისის გზაზე). 70-იან წლებში ნინოწმინდის ეკლესიის ეზოში აიგო ევროპული არქიტექტურის გავლენით დაპროექტებული და შესრულებული საბატონისეული სასახლე. 1805 წ. დასავლეთ საქართველოში მყოფი რუსი მოხელის — ლიტვინოვის ცნობით, ევროპული წესით ყოფილა აგებული დადიანის სასახლეც. არსებობს მსგავსი

ცნობები იმერეთის მეფის, გურიელის, როსტომ წერეთლის და სხვა ფეოდალთა სასახლეების შესახებაც.

ხუროთმოძღვრებისა და ხელოვნების იმდროინდელ ნიმუშებს დაკარგული ჰქონდათ აღრინდელი დიდებული, მოხდენილი ფორმები, მაგრამ ოსტატებს ახლის ძიების სურვილი არ დაუკარგავთ.

მიმდინარეობდა დანგრეულ ნაგებობათა აღდგენა-განახლებაც. თბილისში მუშაობდნენ ნარიყალას კოშკებისა და გალავნების, მეტეხის ციხის, მისი ტაძრისა და მეფის სასახლის აღსადგენად. თვითონ მეფე ერეკლე თბილისში ე. წ. როსტომისეულ სასახლეში ცხოვრობდა.

ანალოგიური ხასიათის სამუშაოებს საკმაოდ ფართო ხასიათი ჰქონდა დასავლეთ საქართველოშიც. XVIII ს. ბოლოს რესტავრირებულ იქნა გელათის წმ. ნიკოლოზის ეკლესია, 1777 წელს — ვარძიის (იმერეთში) მონასტრის სამრეკლო. 1753 წ. რაჭის ერისთავმა როსტომმა ბარაკონის ეკლესია ააგებინა. სამონასტრო-საეკლესიო მშენებლობა მიმდინარეობდა აგრეთვე ლეჩხუმში და სამეგრელოში. გაიზარდა მოთხოვნილება ხუროთმოძღვრებზე, ქვითხურობებზე.

ვითარდებოდა მონუმენტური ფერწერა. მხატვარმა ნიკოლოზ აფხაზმა მოხატა ანანურის ეკლესია და რამდენიმე სხვა ტაძრის კანკელები, მანვე „განახლა სიფრთხილითა ანანურისა ეკლესიისა კედელზედ დახატული ძველად 13 ასურელთა მამათა ხატნი“. იხსენიებიან მხატვრები იობი, გრიგოლი (მუშაობდა შემოქმედის მონასტერში). რამდენიმე მოხატულობა შემორჩა რაჭასა და სამეგრელოში.

შედარებით მაღალ დონეზე იდგა ხელნაწერ წიგნთა მხატვრული გაფორმების საქმე, რომელიც ეროვნულ ტრადიციებს აგრძელებდა.

XVIII ს. მეორე ნახევარში ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სახიობისა და თეატრის განვითარებისათვის. იქმნება დრამატული ნაწარმოებები: პოეტი ქალის მანანას „ციებისა და ქალის ბაასი“, ალექსანდრე ამილახვრის პიესა „მოქმედება ასტრახანში“, ანონიმური პიესა „სამსახიობა რაინდისა“.

ერეკლე მეორის დროს სასახლის კარის სახიობას მეთაურობდა „უფროსი მსახიობთა, რომელსა დებდნენ მაჩაბულად“. სამწუხაროდ, მაჩაბელას სახელი და გვარი ისტორიას არ შემორჩა. კრწანისის ბრძოლაში თბილისელთა ერთ-ერთ რაზმს მეთაურობდა და მეომრებს თავისი ხელოვნებით აღაფრთოვანებდა იგი გმირულად დაიღუპა ამ ბრძოლაში.